

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჩ. ჯახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge



№ გ-04/480.14

05.09 2014 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში წარმოდგენილი იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საიას) 2014 წლის 25 ივლისის #გ-04/411-14 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე (იხ.დანართი #1).

განცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ იქნა 2014 წლის 13 აგვისტოს #1566717 კორესპონდენცია, რომლის თანახმადაც განგვემარტა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულებას მინიჭებული აქვს საილუმლო გრიფი და შისი ხელმისაწვდომობა შეზღუდულია სახელმწიფო საიდუმლოებაზე დამკვირვებლის არმქონე პირთათვის (იხ.დანართი #2).

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

1. სამართლებრივი აქტის ასლი, რომლის თანახმადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დასაიდუმლოების თაობაზე;
2. დასაიდუმლოებულ ინფორმაციაზე აღნიშნული საიდუმლოების გრიფი;
3. ამასთანავე, გთხოვთ გვაცნობოთ, დასაიდუმლოებული ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის რომელ პუნქტს შეესაბამება;

დანართი:


1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2014 წლის 25 ივლისის #გ-04/411-14 განცხადება.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ 2014 წლის 13 აგვისტოს #1566717კორესპონდენცია.

პატივისცემით,

კახა კოჭორიძე

თავმჯდომარე



შემსრულებელი: სოფიო ქარელია